MES 0 21 0000586391

17/06/2021

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 11 ივნისს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ

Join Zoom Meeting:
https://us02web.zoom.us/j/2234959888

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:**

**ნანა ყუფუნია -** შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარე;
**შორენა ჯაფარიძე -** პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**ნინო კაკულია -** სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
**ქრისტინა რზგოევა** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
**რუსუდან გიგაშვილი** - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე, საჭოს წევრი;
**ნატალია კვაჭანტირაძე** - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი
**ნინო ველთაური** - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი
**სერგო ნოზაძე** - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის პრეზიდენტი / საბჭოს წევრი
**დეა აბულაძე** - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი /საბჭოს წევრი

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ნინო სტეფანიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
**ლონდა მინდიაშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია:**
სოფიო მაჭარაშვილი - რექტორი;
ალინა კუპრავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
ხათუნა ბეჟიტაშვილი - საქმისწარმოების მენეჯერი.

**სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:**
ირაკლი შარაბიძე - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორი;
მურთაზ დევაძე - რექტორის მოადგილე;
ირაკლი კაცაძე - რექტორის პირველი მოადგილე;
ნინო ყურშუბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
რუსუდან ყუფიანი - იურიდიული და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;
ბესიკ ჩხიკვაძე - ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის უფროსი;
ნონა კოკაია - ფოთის ფილიალის სასწავლო და საწვრთნელი პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;
გოჩა გოგიტიძე - პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი.

**ა(ა)იპ- კოლეჯი "ჰორიზონტი":**
ნანა ჯოლია - დირექტორი;
თამარ არობელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

**სსიპ - კოლეჯი მოდუსი:**
პავლე თვალიაშვილი - დირექტორი;
მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

**შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი:**
თამარ აბულაშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
ილია მატიაშვილი - საინფორმაციო სამსახურის უფროსი.

**პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:**

ქეთევან ზოტკოველი,
ქეთევან ღვანიძე,
ტიტე ბოლქვაძე,

ალექსანდრე კეკენაძე,
ნინო ხაჩიძე,
ნინო გორგოშაძე,
ნია გუგუნავა,
დიანა გახარია,
ფრიდონ გოგიაშვილი,
პაატა ცაგარეიშვილი,
ზაირა ბერიძე,
თამთა კვინიკაძე,
ნაზო წიბლიაშვილი,
თამარ ახალაძე,
მიხეილ სამხარაძე,
ირაკლი სალუქვაძე,
ქეთევან გელაშვილი,
ნანა შარაბიძე,
ნანა ხითარიშვილი,
თამარ რემიშვილი,
ალინა კუპრავა,
მანანა მოისწაფიშვილი,
ირმა ღარიბაშვილი,
ირმა არსენაშვილი,
დავით გუდაძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 10:30 საათი.

ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
2. შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
6. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
7. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „შედუღების (მესამე დონე)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
8. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „შედუღების (მეოთხე დონე)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
9. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
10. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
11. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
12. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „ამწის ოპერირების III“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
13. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „ამწის ოპერირების IV“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
14. ა(ა)იპ - კოლეჯ ჰორიზონტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
15. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ (სოფ. გორაბერეჟოული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
16. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „ბაღის დიზაინის“ (სოფ. გორაბერეჟოული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
17. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „მებაღეობის“ (სოფ. გორაბერეჟოული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
18. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „მეხილეობის“ (სოფ. გორაბერეჟოული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
19. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

20. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „ბაღის დიზაინის“ (ქ. ოზურგეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
21. სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
22. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის“ „ელექტროობის“ (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
23. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის“ „მებოსტნეობის“ (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
24. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის“ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
25. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის“ „ბუღალტრული აღრიცხვის“ (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
26. შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯისთვის „ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს, სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ 10 ივნისის საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგით განსაზღვრულ სამ საკითხზე (სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ სოფ. ქვ. ალვანის, სოფ. სამრეკლოს და სოფ. კაჭრეთის მისამართებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხები) გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა, ვინაიდან საკითხები საჭიროებდა უფრო მეტ მსჯელობას და არგუმენტაციას, ამიტომ საკითხები დაემატება 11 ივნისის სხდომას.
საბჭომ დაამტკიცა **შეცვლილი დღის წესრიგი:**

1. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვ. ალვანი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. სამრეკლო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
4. შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
5. შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
7. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
8. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
9. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
10. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „შედუღების (მესამე დონე)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
11. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „შედუღების (მეოთხე დონე)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
12. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
13. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
14. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
15. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „ამწის ოპერირების III“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
16. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „ამწის ოპერირების IV“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
17. ა(ა)იპ - კოლეჯ ჰორიზონტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
18. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ (სოფ. გორაბერეჟოული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
19. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „ბაღის დიზაინის“ (სოფ. გორაბერეჟოული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
20. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „მებაღეობის“ (სოფ. გორაბერეჟოული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
21. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „მეხილეობის“ (სოფ. გორაბერეჟოული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
22. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

23. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „ბაღის დიზაინის“ (ქ. ოზურგეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
24. სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
25. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის“ „ელექტროობის“ (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
26. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის“ „მებოსტნეობის“ (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
27. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის“ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
28. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის“ „ბუღალტრული აღრიცხვის“ (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
29. შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯისთვის „ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

**1. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვ. ალვანი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე წევრებს დაეფიქსირებინათ პოზიცია.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ის უარს აცხადებს პროგრამის დამატებაზე, მისთვის უარის თქმის მიზეზი უფრო მეტად არის დაგეგმვის პროცესი, ვიდრე სასწავლო რესურსი, რომელიც შეიძლება რომ გამოსწორებულიყო, ძალიან ბევრი რეკომენდაციაა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ დაწესებულებას, რომელიც გამოირჩეოდა თავისი გააზრებული დაგეგმარებით, ამ შემთხვევაში კარგად არ აქვს გააზრებული პროგრამა, მითუმეტეს რომ ეს არის რეგულირებადი პროფესია, სადაც ყველა ის მოთხოვნა, რაც ჩარჩო დოკუმენტშია წარმოდგენილი უნდა იყოს მკაფიოდ შესრულებული, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც მოცემულია ექთნების მიმართ თავიდანვე უნდა ყოფილიყო გააზრებული და შესრულებული და არა შემდგომ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული, სწორედ ეს არის მისი უარის თქმის მიზეზი.

ქალბატონი ქრისტინა რზგოევა სრულად იზიარებს ქალბატონი შორენა ჯაფარიძის პოზიციას და წინააღმდეგია.

ბატონი სერგო ნოზაძე ასევე იზიარებს შორენა ჯაფარიძის პოზიციას და დამატებით აცხადებს, რომ იმედი აქვს კოლეჯი უკეთესად მოემზადება, რადგან აქამდე კოლეჯი „აისი“ იყო ხარისხის გარანტი, სჯერა, რომ ამ შემთხვევაშიც შეუძლია ხარისხის იგივე თამასა შეინარჩუნოს.

რუსუდან გიგაშილი დარწმუნებულია, რომ კოლეჯი სამომავლო ეტაპზე უფრო მომზადებული იქნება და ხარისხიანად წარმოადგენს მასალებს.

ნინო კაკულია ეთანხმება კოლეგების მოსაზრებას, რადგანაც ექთნის პოზიცია არის ძალიან საპასუხიმგებლო, ეს სფერო არის რეგულირებადი და ხარისხი უფრო მეტია, ვიდრე ქაღალდზე დაწერილი შესაბამისობები და შეუსაბამობები. დასკვნაში ასახული რეკომენდაციებიდან ჩანს, რომ კოლეჯს თავიდან ბოლომდე პროცესი ნათლად არ აქვს დაგეგმილი და წარმოდგენილი, შედეგზე როგორ უნდა გავიდეს.

ქალბატონი ნინო ველთაური იზიარებს კოლეგების მოსაზრებებს და წინააღმდეგია.

საბჭოს თავმჯდომარე არ ეთანხმება კოლეგების მოსაზრებას და მომხრეა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ვერ ხედავს იმ ხარვეზებს, რომლის გამოსწორებაც სწორი მენეჯმენტის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა, ქალბატონი ნანა ყუფუნიას აზრით, ის რომ შესაბამისობის გეგმა არ იყო წარმოდგენილი, არის კონკრეტულად რომელიმე თანამშრომლის პასუხისმგებლობა და არა მთლიანად კოლეჯის, მას მიაჩნია, რომ თავისუფლად შეიძლებოდა მეტწილი შესაბამისობით და 6 თვიანი გაუმჯობესების გეგმით ამ პრობლემის გამოსწორება, ფიქრობს რომ რეკომენდაციები, რომელიც წარმოდგენილი იყო ექსპერტების მხრიდან იყო ძალიან დაწვრილებითი, ნაწილს იზიარებს, ნაწილს - არა. მიაჩნია, რომ ექსპერტების დასკვნაში უფრო მკაფიო და ზუსტი უნდა იყოს დასაბუთება, თუმცა ცალსახად მას ესმის კოლეგების და მისი განსხვავებული პოზიცია მხოლოდ იქიდან გამომდინარეობს, რომ ამ მიმართულებას უფრო მეტად ყურადღებით სჭირდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა, ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილი იქნებოდა 6 თვიანი გაუმჯობესების გეგმა და უარის თქმის საფუძველი აღარ იარსებებდა.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ „აისისთვის" „საექთნო საქმის" (ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვ. ალვანი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ გააჰმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 1
**მოწინააღმდეგე:** 6

**გადაწყვეტილება:** სსიპ - კოლეჯ „აისს" (ს/კ:227770800) უარი ეთქვას განახორციელოს „საექთნო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანში.

**2. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის" „საექთნო საქმის" (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. სამრეკლო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ „აისისთვის" „საექთნო საქმის" (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. სამრეკლო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ გააჰმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 1
**მოწინააღმდეგე:** 6

**გადაწყვეტილება:** სსიპ - კოლეჯ „აისს“ (ს/კ:227770800) უარი ეთქვას განახორციელოს „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. სამრეკლოში.

**3. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 1
**მოწინააღმდეგე:** 6

**გადაწყვეტილება:** სსიპ - კოლეჯ „აისს“ (ს/კ:227770800) უარი ეთქვას განახორციელოს „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში.

**4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ,,აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი წარმოადგინეს ქალბატონმა ქეთევან ბოტკოველმა და ქალბატონა ქეთევან ღვანიძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში - „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფმა შესწავლილ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, გაესაუბრა პროგრამის განხორციელების პროცესში მონაწილე ყველა მხარეს და პასუხისმგებელ პირს, ონლაინ დათვალიერდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა რეკომენდაციები. დაწესებულება ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში შეფასდა ,,სრულ შესაბამისობაში". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას და ადასტურებს, რომ დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსი, ასევე პრაქტიკის ობიექტები უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ,,აღმზრდელის" პროგრამის დამატება რამდენად იყო ასახული დაწესბულების სტრატეგიული განვითარების ან სამოქმედო გეგმაში, იქიდან გამომდინარე რომ ფაქტობრივად დაწესებულება დივერსიფიცირებას ახდენას მისი საქმიანობის აღნიშნული პროგრამის დამატებით.

დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ აკადემია, მიუხედავად მისი სახელისა, მრავალპროფილურია. გარდა ბიზნესის მიმართულებისა ახორციელებ ჯანდაცვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების და სხვა მიმართულების პროგრამებს. გარდა ამისა, დაწესებულება ახორციელებდა ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამას, ასე რომ ეს სფერო არ იყო ახალი მათთვის. განსაკუთრებული ბიძგი იყო დიდი მოთხოვნა აღნიშნული პროგრამის მიმართ სტუდენტების და სწავლის მსურველების მხრიდან. ასევე, მიმდინარე წელს აღნიშნული პროგრამა არის პრიორიტეტული და სრულად ფინანსდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან და ესეც იყო ერთ-ერთი ფაქტორი იმისა რომ აკადემიას დაემატებინა ეს პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 9
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:** შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ:406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული ,,აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი1)**

**5. შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა ქეთევან ბოტკოველმა და ბატონმა ტიტე ბოლქვაძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით და „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ზ.ზ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფმა შესწავლილ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, გაესაუბრა პროგრამის განხორციელების პროცესში მონაწილე ყველა მხარეს და პასუხისმგებელ პირს, ონლაინ დაათვალიერა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა რეკომენდაციბი. დაწესებულება ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში შეფასდა ,,სრულ შესაბამისობაში". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას და ადასტურებს, რომ ერთი მხრივ სათანადო გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელების და მეორე მხრივ შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით დაწესებულება თავისუფლად შეძლებს არსებულ კვოტაზე, რაც შეადგენს 50 პროფესიულ სტუდენტს, დამატებით კიდევ 50 პროფესიული სტუდენტი მიიღოს და გაზრდილი კვოტის ფარგლებში სასწავლო პროცესი წარმართოს ეფექტურად. დარგობრივი კომპეტენციის ექსპერტმა, ტიტე ბოლქვაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაწესებულება ფლობს შთამბეჭდავ აღჭურვილობას, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია და მნიშვნელოვანია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

აკადემიის რექტორმა ექსპერტებს გადაუხადა მადლობა გაწეული სამუშაოსთვის და დადებითი შეფასებებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 9
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:** შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ:406056173) დანართით განსაზღვრულ ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 100-ით **(დანართი 2).**

11:20 წუთზე სხდომას შემოუერთდა ნინო კაკულია

**6. შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „ვებტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა ქეთევან ბოტკოველმა და ბატონმა ალექსანდრე კეკენაძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში „ვებტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით და „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ზ.ზ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფმა შესწავლილ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, გაესაუბრა პროგრამის განხორციელების პროცესში მონაწილე ყველა მხარეს და პასუხისმგებელ პირს, ონლაინ დაათვალიერა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა რეკომენდაციები. დაწესებულება ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში შეფასდა ,,სრულ შესაბამისობაში". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას და ადასტურებს, რომ ერთი მხრივ სათანადო გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების და მეორე მხრივ შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით დაწესებულება თავისუფლად შეძლებს არსებულ კვოტაზე, რაც შეადგენს 50 პროფესიულ სტუდენტს, დამატებით კიდევ 50 პროფესიული სტუდენტი მიიღოს და გაზრდილი კვოტის ფარგლებში სასწავლო პროცესი წარმართოს ეფექტურად.

აკადემიის რექტორმა ექსპერტებს გადაუხადა მადლობა გაწეული სამუშაოსთვის და დადებითი შეფასებებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ,,ვებტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 10
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:** შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ:406056173) დანართით განსაზღვრულ ,,ვებტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 80-ით **(დანარ თი 3)**

**7. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის** (ქ.ფოთი) „ გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა ნინო ხაჩიძემ, ქალბატონმა ნინო გორგოშაძემ და ქალბატონმა ნია გუგუნავამ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრების თანხმობით სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული მეშვიდე, მერვე და მეცხრე საკითხები წარადგინა ერთობლივად, რადგან სამივე პროგრამა შეისწავლა ერთმა ჯგუფმა და ხარვეზებიც და რეკომენდაციებიც იყო თითქმის იდენტური.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა ნინო ხაჩიძემ განმარტა, რომ ცენტრის დირექტორის 2021 წლის 19 მარტის №258015 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. მიმდინარე წლის 9 აპრილს განხორციელდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა და გასაუბრება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულების მიერ წინა ვიზიტის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულება, რადგან დასკვნა ითვალისწინებს ამას. გაცემული იყო სხვადასხვა სახის რეკომენდაციები, მათ შორის მარეგულირებელ დოკუმენტებში ტერმინოლოგიის გასწორებასთან და პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით, ასევე განმეორებითი შეფასების თვალსაზრისით რიგი საკითხების დეტალიზება და დაკონკრეტება იყო რეკომენდებული, უნდა დაკონკრეტებულიყო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე უნდა დაზუსტებულიყო საკვალიფიკაციო მოთხოვნები პროფესიული განათლების მასწავლებლების მიმართ. ანუ გარკვეული საკითხები იყო გასათვალისწინებელი წინა დასკვნის თანახმად, რომელიც დაწესებულების მიერ არ იყო შესრულებული.

ექსპერტთა ჯგუფის წევრის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის, ნია გუგუნავას შეფასებით სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდანაც, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალში არ ხორციელდება აკადემიური პროგრამები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულება ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში შეფასდა ,,შეუსაბამოდ“.

ნინო ხაჩიძემ განმარტა რომ დასკვნის პროექტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტთან მიმართებით დაფიქსირებული იყო ხარვეზები, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ გამოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმები, რომელთა საფუძველზეც პირველი და მეოთხე სტანდარტის შეფასება შეიცვალა და დაფიქსირდა მეტწილი შესაბამისობა, გამომდინარე იქიდან რომ გათვალისწინებული იყო იდენიფიცირებული ხარვეზების გამოსასწორებლად მაქსიმუმ 5 თვე. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დეტალურად იყო გაწერილი იდენტიფიცირებული პრობლემები, აქტივობები, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შესაბამისობის ტიპი, აქტიუვობის დაწყებისა და დასრულების თარიღები, პასუხისმგებელი პირები, რესურსები და სხვა საკითხები, რასაც უნდა მოიცავდეს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

თევზსაჭერი გემის ნავიგაციის პროგრამის ფარგლებში - მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტის პირველი ინდიკატორის (მატერიალური რესურსი) მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზი და შეფასება იცვლება „მეტწილი შესაბამისობით“, თუმცა ადამიანური რესურსის მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზი უცვლელი რჩება, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის ახალდამატებულ განმახორციელებელთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლებელია პირის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადასტურება. შესაბამისად მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტში ისევ ფიქსირდება ხარვეზი.

გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის და გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის პროგრამების ფრაგლებში მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტის მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზი და შეფასება “არ შეესაბამება“ უცვლელი დარჩა, რადგან გარკვეული მატერიალური რესურსის (პლაკატების, პოსტერების, რუკების) თვალსაზრისით დაფიქსირებული შეუსაბამობების გამოსასწორებლად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით არ იყო გაწერილი აქტივობები. ასევე, ადამიანური რესურსის

მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზი უცვლელი დარჩა, რადგან გაფორმებული წინარე ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლებელი იყო პირის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადასტურება, ხოლო პირადი საქმე არ იყო დაწესებულების მიერ მოწოდებული ექსპერტებისთვის, რომლის გარეშეც ექსპერტები ვერ იმსჯელებდნენ ამ პირის კვალიფიკაციის შესაბამისობაზე. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მოახდინა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა ამ პირთან გასაუბრება. ნინო ხაჩიძემ განმარტა, რომ აღნიშნული წინარე ხელშკრულება დაწესებულებამ გამოაგზავნა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, შესაბამისად ამ ახალ განმახორციელებელთან გასაუბრება თავისთავად ვეღარ შედგებოდა. დისტანციური წარმოების ფრაგლებში ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ გასაუბრება ჩატარდა 9 აპრილს, ხოლო დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენა მოახდა მაისის მეორე ნახევარში, რა დროსაც წარმოადგინა დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმები და აღნიშნული წინარე ხელშეკრულებები.

დარგობრივი კომპეტენციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი ნინო გორგოშაძე დაეთანხმა ნინო ხაჩიძეს რომ უმჯობესი იქნებოდა დაწესებულებას წინარე ხელშეკრულებასთან ერთად წარმოედგინათ სხვა დამატებითი ინფორმაცია, იმისათვის რომ დადასტურებულიყო ამ პირების დარგობრივი კომპეტენცია. ნინო გორგოშაძის განცხადების თანახმად, ის როგორც დარგობრივი ექსპერტი საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას და იქიდან გამომდინარე, რომ მისი სამსახური ახორციელებს ყველა მეზღვაურის შემოწმებას, მისი პირადი სამსახურის ბაზებზე დაყრდნობით ადასტურებს, რომ ის პიროვნებები, რომლებიც წარმოდგინა დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზციაზე წინარე ხელშეკრულებით, ფლობენ შესაბამის კომპეტენციის სერტიფიკატებს და აქვთ შესაბამისი კომპეტენცია საგემბანე და სამანქანე მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ნინო გორგოშაძეს კიდევ ერთხელ დაეფიქსირებინა სხდომაზე დამსწრეთათვის, თუ რა გზით გახდა მისთვის შესაძლებელი რომ დადასტურებულიყო ამ პირების კომპეტენცია, რა უფლებამოსილების ფარგლებში შეძლო აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება. რაზეც ნინო გორგოშაძემ განმარტა, რომ ის არის საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი და მის მოვალეობებში შედის მეზღვაურების სერტიფიცირება, მათი კვალიფიკაციის შემოწმება და კომპეტენციების სერტიფიკატების გაცემა, შესაბამისად ის ფლობს ბაზას, სადაც რეგისტრირებულია საქართველოში გაცემული ყველა კომპეტენციის სერტიფიკატი, რეგისტრირებულია ყველა ქართველი მეზღვაური. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი წინარე ხელშეკრულებიდან მოპოვებული პირადი ნომრით, სახელით და გვარით ნახა ეს ადამიანები ნამდვილად ფლობენ თუ არა შესაბამის კომპეტენციას, აღნიშნულზე დაყრდნობით ექსპერტი ადასტურებს, რომ ამ ადამიანებს ნამდვილად უდასტურდებათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამებთან დაკავშრიებული კვალიფიკაციები.

საბჭოს წევრმა, ქრისტინა რზგოევამ, განაცხადა, რომ როგორც საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენელი მხარს უჭერს ქალბატონ ნინო გორგოშაძეს და დაადასტურა სააგენტოს უფლებამოსილება და პირდაპირი ვალდებულება, რომ გადაამოწმოს თუ რამდენად არის პირი კომპეტენტური.

საბჭოს წევრი, ნინო ველთაური დაინტერესდა რატომ არ ჰქონდა დაწესებულებას ზემოაღნიშნული განმახორციელებელების კვალიფიკაციის დამდასტურებელი დოკუმენტაცია დაწესებულებაში მობილიზებული.

დასმულ კითხვასთან მიმართებით სიტყვა ითხოვა ნინო გორგოშაძემ და განმარტა, რომ „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროგრამაში ნავიგაციას ასწავლიდა პირი, რომელსაც აქვს

მექანიკოსის გამოცდილება, მაგრამ დამატებით ასევე აქვს უმაღლესი თევზსაჭერი გემის ნავიგატორის კვალიფიკაცია. ექსპერტის მიერ ჩაითვალა, რომ ნავიგაციის კუთხით ,,დამხმარე დონეზე საეგემბანე განყოფილების ნავიგაციის" მოდული წასაკითხად უმჯობესი იქნება ან კაპიტანის გამოცდილებით იყოს განმახორციელებელი შერჩეული, ან გემწამყვანის კვალიფიკაციით. სწორედ ამიტომ დადგა ეს ხარვეზი. დაწესებულებამ თავიდან ჩათვალა, რომ რადგან ამ პირს ქონდა თევზსაჭერი გემის ნავიგატორის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შესაძლებელი იქნებოდა განმახორციელებლად აყვანა, შემდეგ დაწესებულებამ წარმოადინა არუმენტირებული პოზიცია და მხოლოდ წინარე ხელშეკრულებები და არ იყო მოწოდებული სრულყოფილი პირადი საქმე, რომლითაც ყველა ექსპერტისათვის იქნებოდა ცნობილი ამ პირების კომპეტენცია. სწორედ ამიტომ მოხდა მის მიერ გადამოწმება საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ბაზებში.

საბჭოს თავმჯდომარემ დააკონკრეტა, რომ ნინო ველთაურის კითხვა დასმული იყო დაწესებულების მიმართ. იკვეთება, რომ ნინო გორგოშაძემ, როგორც მხოლოდ ექსპერტმა კი არ იმოქმედა, არამედ როგორც სააგენტოს თანამშრომელმა, რომელმაც მის ხელთ არსებული ინფორმაციით გადაამოწმა და დაადასტურა განმახორციელებელბის კომპეტენცია. რაც ცალსახად არ არის ავტორიზაციის პროცესში ექსპერტის მოვალეობა. არ შეიძლება ამ შემთხვევაში საუბარი მიდიოდეს იმაზე თუ ვინ რა აღმოაჩინა საკუთარი დასაქმების ადგილის ან სოციალური კონტაქტების ხარჯზე. ავტორიზაციის პროცესში დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები ძალიან მკაფიოდ განსაზღვრული თითოეული პოზიციისთვის. იკვეთება, რომ სწავლის შედეგების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები არის თუ არა დაკმაყოფილებული შესაბამისი პერსონალით ეს ვერ გახდა ცნობილი დაწესებულებაში ვიზიტის დროს, შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით თუ რატომ არ იყო ეს შესაძლებელი.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორმა, ირაკლი შარაბიძემ განმარტა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა განმახორციელებლად მათი ხედვით კვალიფიციური კადრი (მეთევზე მეზღვაურის უმაღლესი კვალიფიკაციით), რომელიც ასევე მონაწილეობდა პროგრამის შემუშავებაში. დაწესებულებას მიაჩნდა რომ პირის კვალიფიკაცია საკმარისი იყო სწავლის შედეგების მისაღწევად. თუმცა ექსპერტის შეფასება აღმოჩნდა განსხვავებული.

საბჭოს თავმჯდომარე ჩაეკითხა ამ ყველაფრის შემდეგ რატომ გაიზიარა დაწესებულებამ ექსპერტის პოზცია და გაუფორმა წინარე ხელშეკრულებები სხვა პირებს.

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ყურშუბაძემ განაცხადა, რომ განაცხადის წარდგენის ეტაპზე დაწესებულებამ ცენტრში წარადგინა განმახორციელებლების პირადი საქმეები, რითიც დასტურდებოდა მათი კვალიფიკაცია. ერთ-ერთ კონკრეტულ მოდულთან დაკავშირებით იყო ექსპერტების რეკომენდაცია რომ ამ მოდულის განმახორციელებლის კვალიფიკაცია სრულყოფილად არ შეესაბამება და წარმოადგენს სწავლის შედეგების მიღწევის საფრთხეს. შესაბამისად დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტებს და წარადგინა ახალი პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც აგრეთვე სხვა მოდულების განმახორციელებელბიც არიან. შესაბამისად არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში გადაიგზავნა მხოლოდ ხელშეკრულებები და განმეორებით მათი პირადი საქმეები აღარ გადაიგზავნა. ამ პირების პირადი საქმეები სხვა მოდულების ფარგლებში უკვე იყო წარდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ხაჩიძეს სთხოვა მას როგორც ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს განემარტა თუ ნახა მან აღნიშნული პირების პირადი საქმეები სხვა მოდულების ფარგლებში ან საერთოდ არის თუ არა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, როგორც ამას დაწესებულება აცხადებს.

ექსპერტთა ჯგუფის თამჯდომარემ განმარტა, რომ კითხვაზე, იყო თუ არა აღნიშნული პირების პირადი საქმეები წარმოდგენილი, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ, პასუხობს, რომ პირადი საქმეები არ იყო წარმოდგენილი და შეუძლებელი იყო კომპეტენციის დადასტურება. ნინო გორგოშაძემ განმარტა, რომ პირადი საქმეები დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა პირველ ეტაპზე, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დამატებით აღარ მოუწოდებიათ.

საბჭოს წევრის, ქრისტინა რზგოევას განცხადებით ექსპერტი ვალდებული იყო გადაემოწმებინა კომპეტენცია, თუ კი კონკრეტული პირის პირადი საქმე წარმოდგენილი იყო დაწესებულების მიერ, რასაც ადასტურებს კიდეც დარგობრივი კომპეტენციის ექსპერტი. დაწესებულება რამდენჯერმე არ უნდა აგზავნიდეს ერთიდაიგივე დოკუმენტაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ნინო ხაჩიძეს და სთხოვა კიდევ ერთხელ წარმოედგინა კონკრეტული კომპონენტების მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება.

ნინო ხაჩიძემ განაცხადა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებამ პირველ და მეოთხე სტანდარტთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმები, ექსპერტებმა შეფასება ,,არ შეესაბამება“ შეცვალეს ,,მეტწილად შეესაბამებათი“. მეორე სტანდარტის გარკვეულ ნაწილებშიც შეიცვლა და გაუმჯობესდა შეფასება, თუმცა კვლავ დარჩა ამ ეტაპზე ხარვეზი 2.2 კომპონენტში. შესაბამისად მეორე სტანდარტი ექსპერტთა მხრიდან ფასდება როგორც ,,არ შეესაბამება“.

ნინო გორგოშაძემ განაცხადა, რომ ერთ-ერთი იმ პირის პირადი საქმე, ვინც არგუმენტირებულ პოზიციაზე ჩანაცვლდა, იყო მოწოდებული, არა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, არამედ მანამდე. ეს პირი იყო აგრეთვე სხვა მოდულების განმახორციელებელი.

ნინო ხაჩიძემ უპასუხა, რომ მან ვერ ნახა პირადი საქმეები დაწესებულების დოკუმენტაციაში. დააზუსტა რომ გარდა ერთი პირისა, რომელიც სხვა მოდულებსაც ახორციელებდა პროგრამაში, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას კიდევ სხვა ორი პირიზე წარმოადგინა წინარე ხელშეკრულებები, რომლეთა პირადი საქმეები არც მანამდე და არც არუმენტირებულ პოზიციაზე არ ყოფილა გამოგზავნილი. ასევე, შეახსენა ექსპერტს, რომ დასკვნის საბოლოო სახით ჩაბარებამდე ეს საკითხი გაიარეს ჯგუფის წევრებმა და დასკვნა შეჯერებული და შეთანხმებული სახით წარადგინეს ცენტრში.

ექსპერტთა მხრიდან დასკვნაში, ასევე, დაფიქსირებულია მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი განვითარების რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს თუ იზიარებდნენ ექსპერტთა ხედვას და რეკომენდაციებს. ასევე, პირველ და მეოთხე სტანდარტთან მიმართებით რა პერიოდში გამოასწორებს დაწესებულება შეუსაბამობებს.

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ყურშუბაძემ განაცხადა, რომ საზღვაო აკადემია ახორციელებს სხვდასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, შესაბამისად ერთიანი სტრატგიული გეგმა ჰქონდა შემუშავებული და დამტკიცებული, რომელიც მოიცავდა ციკლს 2018-2024 წლებს. ახალი სტანდარტის შემდეგ დადგა საჭიროება,

ასევე ეს საჭიროება გამოიწვია იმან რომ აკადემია იმატებდა ახალ პროფეიულ ცენტრს ახალ ლოკაციაზე, აკადემიამ საჭიროდ ჩათვალა რომ უფრო დაწვრილებით ჩაეშალა პროფესიულის ნაწილი და არსებული 13 მიზნიდან დაეკონკრეტებინა 9 მიზანი, რომელიც ზუსტად შეესაბამებოდა პროფესიულ განვითარებას. დაწესებულებამ გაიზიარა რეკომენდაციები, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც შესრულების ვადად განისაზღვრა ხუთი თვე 2021 წლის სექტემბერი. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას დაწესეულებამ უკვე წარადგინა გასწორებული რეგულაციები. მეორე სტანდარტს რაც შეეხება დაწესებულება იძულებული გახდა გაეზიარებინა, თუმცა თავიდანვე ფიქრობდნენ, რომ მათ მიერ შერჩეული განმახორციელებლები აკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს, მათი კვალიფიკაცია შეესაბამებოდა პროგრამით და მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. მიუხედავად ამისა ჩაანაცვლეს სხვა პირით ვინც ასევე სხვა მოდულებს ახორციელებს პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით მსჯელობისას ნათლად არ გამოიკვეთა არც ექსპერტთა და არც დაწესბულების მხრიდან რას ნიშნავს ,,იძულებული გახდნენ". მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად დაწესბულებას უნდა ჰქონდეს გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შერჩევის პროცედურა უკვე უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ დაწესებულება ისეთი კვალიფიკაციის პირებს შეარჩევს, რომლებიც სწავლის შედეგებზე გაიყვანს პროფესიულ სტუდენტებს. თუ კი ყველა ეს პროცედურა გაიარა დაწესებულებამ და თვლის, რომ მათ მიერ შერჩეულ პირს რომელიც შეირჩა ამ კონკრეტული მოდულისთვის ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია, მაშინ გაუგებარია რას ნიშნავს ,,იძულებული გავხდით". აღნიშნულზე ცალსახა და პირდაპირი პასუხი არ ჩანს. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინა კვალიფიციურად და დასაბუთებლად რატომ დაეთანხმა ექსპერტთა რეკომდენაციას.

აკადემიის რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს, რა თქმა უნდა, გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მაგრამ გამომდინარე იქიდნ, რომ მიიღეს რეკომენდაცია და დაწესბულებას ჰყავდა ალტერნატივა, ჰქონდათ იმის საშუალება რომ ჩანაცვლებულიყო განმახორციელებელი, ამიტომ იქნა გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნული არგუმენტად არ მიიჩნია. მისი განმარტებით გაზიარება ნიშნავს, რომ დაწესებულება აღიარებს და ეთანხმება იმას, რომ ვერ გავიდოდა სწავლის შედეგებზე ამ კვალიფიკაციის განმახორციელებლით. მან კიდევ ერთხელ სთხოვა დაწესებულებას განემარტა მათი პოზიცია, ისინი დაეთანხმნენ იმიტომ, რომ ექსპერტი იყო თუ იმიტომ, რომ იზიარებდნენ იმას რომ პირი ვერ გავიდოდა სწავლის შედეგებზე.

აკადემიის რექოტრმა იგივე პასუხი გასცა დასმულ კითხვას და აღნიშნა რომ გაიზიარეს ექსპერტის პოზიცია, რადგან იყო ამის საშუალება.

ნანა ყუფუნიას მოთხოვნის შესაბამისად ნინო ხაჩიძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თევზსაჭერი გემის ნავიგაციის მეორე კომპონენტის პირველი ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით, თუმცა ადამიანური რესურსის კუთხით პრობლემა რჩება. ასევე გემის სამანქანე განყოფილების და გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის პროგრამების კუთხით მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტის მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზი და შეფასება "არ შეესაბამება" უცვლელი რჩება, რადგან ადამიანური რესურსის მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზი უცვლელი რჩება ასევე გარკვეული მატერიალური რესურსის (პლაკატების, პოსტერების, რუკების) თვალსაზრისით დაფიქსირებული შეუსაბამობების გამოსასწორებლად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით არ არის გაწერილი აქტივობები.

ქრისტინა რზგოევამ კითხვით მიმართა ექსპერტებს მატერიალურ რესურსიდან სხვა დანარჩენი ნაწილი იყო და მხოლოდ პოსტერების და რუკების ნაწილში იყო შეუსაბამობა თუ კიდე იყო სხვა მატერიალური აღჭურვილობა, რასაც არ ფლობდა დაწესებულება. ასევე, სთხოვა ექსპერტებს განემარტათ მხოლოდ პოსტერები და პლაკატები თუ არის განმსაზღვრელი სწავლის შედეგზე გასვლის, სხვა ნაწილში სწავლის შედეგზე გასვლა შესაძლებელია თუ არა.

ნინო ხაჩიძემ განამარტა, რომ მატერიალური რესურსი არ შედგება მხოლოდ პლაკატების და რუკებისგან, ეს პროგრამის მატერიალური რესურსის დაახლოებით მეხუთედი ნაწილია. თუმცა ესენი არის მატერიალური რესუსის ნაწილი, არ გადიან მასალა ნედლეულის ნაწილში. პლაკატების და რუკების ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტები არ იყო წარმოდგენილი, ასევე ექსპერტებს არ უნახავთ ონლაინ ჩართვისას ადგილზე. შორენა ჯაფარიძის კითხვაზე ნინო ხაჩიძემ განამარტა, რომ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ამ პლაკატების ან რუკების ონლაინ ვერსიების გამოყენებაც, მაგრამ დაწესებულებას თავის მიერ დამტკიცებულ პროგრამაში მითითებული აქვს რომ უნდა ჰქონდეს და გეგმავს გამოიყენოს ეს რუკები და პოსტერები მატერიალურად.

ნანა ყუფუნია დაინტერესდა რატომ არ წარმოადგინა დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში ეს ნაწილი.

აკადემიის რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს ამ რუქების და პოსტერების ელექტრონული ვერსია, ასვე უკვე გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება და დაიბეჭდება მალე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მსჯელობის შედეგად რჩება შთაბეჭდილება რომ ექსპერტები არ არიან შეთანხმებული დასკვნასთან დაკავშირებით, ამიტომ რეკომენდაციით მიმართა ცენტრს დაიწყოს, მოკვლევა ექსპერტების საქმიანობის პროცესში დაცული იყო თუ არა ყველა ის წესი და რეგულაცია, რაც მათ ევალებათ და როგორ მოხდა რომ ექსპერტები ერთმანეთს არ ეთანხმებიან, რაც არ იკვეთებოდა წარდგენილი დასკვნის საფუძველზე, მაგრამ გამოვლინდა საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს წევრი, ნინო ველთაური დაინტერესდა მიზეზით, რატომ არ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული მატერიალური რესუსი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, უბრალოდ გამორჩა დაწესებულებას, თუ არ ჩათვალა მნიშვნელოვანად. მისი აზრით გამორჩენაც ცოტა წარმოუდგენელია მაშინ, როცა საუბარია ექსპერტების მიერ დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორებაზე. ეს მისი მოსაზრებით მიუთითებს გულგრილ დამოკიდებულებაზე პროცესის მიმართ დაწესებულების მხრიდან.

აკადემიის რექტორმა განაცხადა, რომ ამ ყველაფრის, ანუ რუკების და პოსტერების, აღჭურვა მოხდა კომპიუტერებში, რაც ფოთის ფილიალში არის განთავსებული. ასევე უახლოეს მომავალში დაიბეჭდება კიდეც.

ნინო ყურშუბაძემ განაცხადა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა არ იქნება პრობლემა, რადგან დაწესებულება ფლობს რესურებს ელექტრონული სახით.

საბჭომ სათათბირო დრო გამოიყენა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა ძალიან მკაფიო საჭიროება, დაფიქრდეს დაწესებულების მენეჯმენტი საკუთარი მენეჯმენტის სტილზე, დაფიქრდეს თუ რატომ წარიმართა პროცესი ასეთი დიდი ხარვეზებით, იმ პირობებში როდესაც სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციები ხარჯავენ ძალიან დიდ რესურსს. რატომ ვერ მოხდა

დაწესებულების წარმოჩენა ისე, როგორც ეს შეესაბამება ქვეყანაში ამ მიმართულებით ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ სასწავლებელს. საბჭოს შეფასებით ცალსახად იკვეთება პრობლემები მენეჯმენტში, ადმინისტრირებაში, რადგან ვერ მოხერხდა დაწესებულების მიერ საკუთარი რესურსების და შესაძლებლობების სწორად წარმოჩენა. ზეპირ მოსმენაზე ექსპერტთა და დაწესებულების მხიდან დაფიქსირებულ მსჯელობასა და არგუმენტებზე დაყრდნობით, ასევე საბჭოს მანდატის და სახელმწიფო პრიორიტეტების გათვალისწინებით, საბჭომ მიმართა ცენტრს არაუგვიანეს 2022 წლის პირველი კვარტლისა, სრული მონიტორინგის ჩანიშვნის რეკომენდაციით. აქვე აღნიშნა, რომ საბჭო არ განსაზღვრავს მონიტორინგის ფორმას, მიზანშეწონილია მონიტორინგის ფორმა ცენტრმა შეარჩიოს შემოწმების ფარგლებიდან და მონიტორინგის პერიოდისთვის ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, თუმცა უფრო მეტად მიზანშეწონილია ვიზიტი, ამასთანავე ფიზიკური ვიზიტი თუ საქმე ეხება მატერიალურ რესურსებს. ამდენად, შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, ამ და სხვა ყველა შემთხვევაში, როცა საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის თაობაზე, მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

ზემოაღნიშნული პირობით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე დამსწრეებს გააცნო დანართით განსაზღვრული პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი. ასევე, აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 11 ივნისიდან.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 9
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:** სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ:245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული ,,გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ ფოთში**(დანართი 4)**.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, არაუგვიანეს 2022 წლის პირველი კვარტლისა, ჩაინიშნოს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სრული მონიტორინგი, აქვე აღნიშნავს, რომ საბჭო არ განსაზღვრავს მონიტორინგის ფორმას, მიზანშეწონილია მონიტორინგის ფორმა ცენტრმა შეარჩიოს შემოწმების ფარგლებიდან და მონიტორინგის პერიოდისთვის ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, თუმცა უფრო მეტად მიზანშეწონილია ვიზიტი, ამასთანავე ფიზიკური ვიზიტი თუ საქმე ეხება მატერიალურ რესურსებს. ამდენად, საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ამ და სხვა ყველა შემთხვევაში, როცა საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის თაობაზე, მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ.

**8. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის** (ქ.ფოთი) „ გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული მე-7 საკითხის ფარგლებში ზეპირ მოსმენაზე ექსპერტთა და დაწესებულების მხიდან დაფიქსირებულ მსჯელობასა და არგუმენტებზე დაყრდნობით სრული მონიტორინგის პირობით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე დამსწრეებს გააცნო დანართით განსაზღვრული პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი. ასევე, აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 11 ივნისიდან.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 9
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:** სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ:245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ ფოთში**(დანართი 5)**.

**9. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის (ქ.ფოთი) „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა**

სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული მე-7 საკითხის ფარგლებში ზეპირ მოსმენაზე ექსპერტთა და დაწესებულების მხიდან დაფიქსირებულ მსჯელობასა და არგუმენტებზე დაყრდნობით სრული მონიტორინგის პირობით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე დამსწრეებს გააცნო დანართით განსაზღვრული პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებელების წარმომადგენელი. ასევე, აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 11 ივნისიდან.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 9
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:** სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ:245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **ქალაქ ფოთში დანართი 6)**.

14:00 წუთზე სხდომა დატოვა მარიამ ქუჩულორიამ

**10. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის** (ქ.ფოთი) „შედუღების (მესამე დონე)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ბატონმა მიხეილ სამხარაძემ, ქალბატონმა ირმა ღარიბაშვილმა და ქალბატონმა ნია გუგუნავამ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით განხორციელდა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება „შედუღების“ (მესამე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. დაწესებეულება გეგმავს პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელებას და 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც მიზანშეწონილად მიიჩნიეს დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხირდან, ხოლო 8 და 9 აპრილს ონლაინ რეჟიმში შედგა დისტანციური შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ დაწესებულების და დამსაქმებლის წარმომადგენლები. დაწესებულებას ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასების მიხედვით სკუთარი თავი მეორე სტანდარტის ოთხივე კომპონენტში შეფასებული ჰყავდა როგორც ,,სრულად შეესაბამება“. ექსპერტთა შეფასებით კი დაწესებულება მეორე სტანდარტის მეორე და მეოთხე კომპონენტებთან მიმართებით არის ,,მეტწილ შესაბამისობაში“.

მიხეილ სამხარაძის განცხადებით შესაბამისობის რეკომენდაცია გაიცა მე-2 სტანდარტის 2.2.1-1 ინდიკატორთან მიმართებით - დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, პროგრამის დამატებისთვის უზრუნველყოს განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარის მობილიზება. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას მფლობელობაში არ ჰქონდა C გარემოსთვის განკუთვნილი აღჭურვილობები და წარმოადგინა შპს "Transas Ukraine"-ის 2021 წლის 1 აპრილის წერილი დანადგარების ჩამონათვალით (დანართში დეტალური სპეციფიკაციის მითითებით), რომლის მიხედვითაც დანადგარების მიწოდების სავარაუდო თარიღად განსაზღვრულია 2021 წლის 28 ივნისი. აუდიტორიების ვიზუალური დათვალიერების შედეგად, პროფესიული სტუდენტის და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განკუთვნილი მაგიდების და სკამების რაოდენობა, მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის - 30 გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის არასრულია, რაც ასევე იკვეთება დაწესებულების მიერ დამატებით გამოგზავნილ ფოტომასალაში. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ,,ესიდას“ წერილი, საიდანაც იკითხებოდა, რომ ტენდერი მოგებული ჰქონდა ერთ-ერთ კომპანიას და მაგიდებს და სკამებს მიაწოდებდნენ დაწესებულებას. თუმცა დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, აქედან გამომდინარე დასკვნის პროექტში ექსპერტთა მხრიდან ეს შეფასდა როგორც ხარვეზი. დაწესებულებამ წარმოადგინა დეტალური, ვრცელი და არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც ახლდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის შესწავლის შედეგად შეიცვლა ექსპერტების შეფასება და დასკვნაში აისახა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ასევე, საწყის ეტაპზე ფიქსირდებოდა ხარვეზი 2.4.2-ის 1 და 2 ინდიკატორებთან დაკავშირებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“

შეიცავს ვერიფიკაციის პროცესისთვის შეუსაბამო დებულებებს. გამოკვეთილია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის როგორც ტერმინების, ასევე ტერმინების ქვეშ მოაზრებული პროცესების თანაკვეთა. აქედან გამომდინარე და იმის გათვალისიწნებით, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, დასკვნის პროექტში ექსპერტთა მხრიდან ეს შეფასდა როგორც ხარვეზი. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება ამ პრობლემებს აღმოფხვრის 6 თვის ვადაში, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა წარმოდგენილი გეგმა, შეცვლა შეფასება და დასკვნაში აისახა როგორც მეტწილად შესაბამისი.

პირველ და მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებითაც გამოიკვეთა ხარვეზები კონკრეტულად დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა პროფესიული განათლების განვითარების ოთხწლიანი სტრატეგიული (2020-2024) გეგმა, რომელიც ცალკე დოკუმენტად არის დამტკიცებული, აღნიშნული არ შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ლი სტანდარტის 1.2.1-1 ინდიკატორის მოთხოვნას - შვიდწლიანი ციკლური განვითარების გეგმის არსებობის შესახებ. ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებაში იკვეთებოდა ინტერესთა კონფლიქტი. ამ ხარვეზებთან მიმართებაშიც არგუმენტირებული პოზიციაში იყო მითითებული რომ დაწესებულება გაითვალიწინიბდა ექსპერტების რეკომენდაციებს და შეცვლიდნენ უზუსტობებს.

ასევე დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაციები:

ინდიკატორი 2.2.1-4 ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ ინფორმაცია გაბნეულია სხვადასხვა რეგულაციების სხვადასხვა პუნქტებში, ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, დაწესებულებამ კონსოლიდირებულად ჩამოაყალიბოს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც იქნება შესაბამისი რეგულაციის ნაწილი.

ინდიკატორი 2.4.1-4 სასურველია დაწესებულებამ დამტკიცებულ რეგულაციებში ჩაშალოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენების შესაძლო შემთხვევები, აღწეროს პროცესები, მათ შორის თუ რას მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება, ასევე განსაზღვროს შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორები 2.4.2-1,2 საჭიროა რეგულაცია მოიცავდეს ზუსტ ჩანაწერებს, თუ რა ვადებში, რამდენჯერ და რა პირობებით ეძლევა პროფესიულ სტუდენტს განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა.
დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის შეფასების გასაჩივრების ნაწილში გამართოს რეგულაცია სხვადასხვა შემხვედრი საჭიროების გათვალისწინებით, განსაზღვროს პროცედურები გონივრული ვადების მითითებით და ამასთანავე, მნიშვნელოვანია მექანიზმი ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრებას როგორც პროცედურულ, ასევე შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით.
ინდიკატორი 2.4.2-4 რეკომენდებულია, დაწესებულებაში გავრცელებული მიდგომა პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების შეფასების გაცნობის და უკუკავშირის მიწოდების შესახებ აისახოს შესაბამის რეგულაციაში.

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნინო ყურშუბაძემ განაცხადა, რომ საზღვაო აკადემიის მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული ექსპერტების ერკომენდაციები და არგუმენტირებული პოზციაზე წარდგენილ იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც დადგინდა ვადები შეუსაბამობების აღმოფხვრისათვის. მაქსიმალური ვადა პირველ

სტანდარტთან დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით არის 5 თვე, ხოლო დანარჩენ საკითხებზე გეგმაში მითითებულია 1 თვე. არგუმენტირებული პოზციის წარდგენისას მტკიცებულებების სახით თანდართული იყო დაკორექტირებული მარეგულირებლები. ასევე შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ითვალისწინებს C გარემოს აღჭურვის საკითხებს, რომლის დასრულება დაგეგმილია 2021 წლის აგვისტოს თვეში. აგრეთვე მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულებას უკვე დაკორექტირდა უზუსტობები ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით. გეგმაში მითითებულია 1, 3 და 5 თვის ვადა ზემოაღნისნული უზუსტობების აღმოფხვის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სრული მონიტორინგის პირობით, რის თაობაზეც საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული მე-7 საკითხის განხილვისას, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „შედუღების"(მესამე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე დამსწრეებს გააცნო დანართით განსაზღვრული პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებელების წარმომადგენელი. ასევე, აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 11 ივნისიდან.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 8
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:** სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ:245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული ,,შედუღების"(მესამე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ ფოთში **(დანართი 7)**.

**11. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის** (ქ.ფოთი) „შედუღების (მეოთხე დონე)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ბატონმა მიხეილ სამხარაძემ, ქალბატონმა ირმა ღარიბაშვილმა და ქალბატონმა ნია გუგუნავამ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით განხორციელდა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება „შედუღების" (მეოთხე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

დაწესებეულება გეგმავს პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელებას და 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც მიზანშეწონილად მიიჩნიეს დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხირდან, ხოლო 8 და 9 აპრილს ონლაინ რეჟიმში შედგა დისტანციური შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ დაწესებულების და დამსაქმებლის წარმომადგენლები. დაწესებულებას ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასების მიხედვით სკუთარი თავი მეორე სტანდარტის ოთხივე კომპონენტში შეფასებული ჰყავდა როგორც ,,სრულად შეესაბამება“. ექსპერტთა შეფასებით კი დაწესებულება მეორე სტანდარტის მეორე და მეოთხე კომპონენტებთან მიმართებით არის ,,მეტწილ შესაბამისობაში“.

მიხეილ სამხარაძის განცხადებით შესაბამისობის რეკომენდაცია გაიცა მე-2 სტანდარტის 2.2.1-1 ინდიკატორთან მიმართებით - დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, პროგრამის დამატებისთვის უზრუნველყოს განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარის მობილიზება. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას მფლობელობაში არ ჰქონდა C გარემოსთვის განკუთვნილი აღჭურვილობები და წარმოადგინა შპს "Transas Ukraine"-ის 2021 წლის 1 აპრილის წერილი დანადგარების ჩამონათვალით (დანართში დეტალური სპეციფიკაციის მითითებით), რომლის მიხედვითაც დანადგარების მიწოდების სავარაუდო თარიღად განსაზღვრულია 2021 წლის 28 ივნისი. აუდიტორიების ვიზუალური დათვალიერების შედეგად, პროფესიული სტუდენტის და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განკუთვნილი მაგიდების და სკამების რაოდენობა, მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის - 30 გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის არასრულია, რაც ასევე იკვეთება დაწესებულების მიერ დამატებით გამოგზავნილ ფოტომასალაში. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ,,ესიდას“ წერილი, საიდანაც იკითხებოდა, რომ ტენდერი მოგებული ჰქონდა ერთ-ერთ კომპანიას და მაგიდებს და სკამებს მიაწოდებდნენ დაწესებულებას. თუმცა დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, აქედან გამომდინარე დასკვნის პროექტში ექსპერტთა მხრიდან ეს შეფასდა როგორც ხარვეზი. დაწესებულებამ წარმოადგინა დეტალური, ვრცელი და არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც ახლდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის შესწავლის შედეგად შეიცვლა აექსპერტების შეფასება და დასკვნაში აისახა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ასევე, საწყის ეტაპზე ფიქსირდებოდა ხარვეზი 2.4.2-ის 1 და 2 ინდიკატორებთან დაკავშირებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ შეიცავს ვერიფიკაციის პროცესისთვის შეუსაბამო დებულებებს. გამოკვეთილია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის როგორც ტერმინების, ასევე ტერმინების ქვეშ მოაზრებული პროცესების თანაკვეთა. აქედან გამომდინარე და იმის გათვალისიწნებით, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, დასკვნის პროექტში ექსპერტთა მხრიდან ეს შეფასდა როგორც ხარვეზი. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინე შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება ამ პრობლემებს აღმოფხვრიან 6 თვის ვადაში, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა წარმოდგენილი გეგმა, შეცვლა შეფასება და დასკვნაში აისახა როგორც მეტწილად შესაბამისი.

პირველ და მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებითაც გამოიკვეთა ხარვეზები კონკრეტულად დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა პროფესიული განათლების განვითარების ოთხწლიანი სტრატეგიული (2020-2024) გეგმა, რომელიც ცალკე დოკუმენტად არის დამტკიცებული, აღნიშნული არ შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ლი სტანდარტის 1.2.1-1 ინდიკატორის მოთხოვნას - შვიდწლიანი ციკლური

განვითარების გეგმის არსებობის შესახებ. ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებაში იკვეთებოდა ინტერესთა კონფლიქტი. ამ ხარვეზებთან მიმართებაშიც არგუმენტირებული პოზიციაში იყო მითითებული რომ დაწესებულება გაითვალიწინიბდა ექსპერტების რეკომენდაციებს და შეცვლიდნენ უზუსტობებს.

ასევე დაწესებულებას მიეცა განმავიტარებელი რეკომენდაციები:

ინდიკატორი 2.2.1-4 ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ ინფორმაცია გაბნეულია სხვადასხვა რეგულაციების სხვადასხვა პუნქტებში, ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, დაწესებულებამ კონსოლიდირებულად ჩამოაყალიბოს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც იქნება შესაბამისი რეგულაციის ნაწილი.

ინდიკატორი 2.4.1-4 სასურველია დაწესებულებამ დამტკიცებულ რეგულაციებში ჩაშალოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენების შესაძლო შემთხვევები, აღწეროს პროცესები, მათ შორის თუ რას მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება, ასევე განსაზღვროს შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორები 2.4.2-1,2 საჭიროა რეგულაცია მოიცავდეს ზუსტ ჩანაწერებს, თუ რა ვადებში, რამდენჯერ და რა პირობებით ეძლევა პროფესიულ სტუდენტს განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა.
დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის შეფასების გასაჩივრების ნაწილში გამართოს რეგულაცია სხვადასხვა შემხვედრი საჭიროების გათვალისწინებით, განსაზღვროს პროცედურები გონივრული ვადების მითითებით და ამასთანავე, მნიშვნელოვანია მექანიზმი ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრებას როგორც პროცედურულ, ასევე შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით.
ინდიკატორი 2.4.2-4 რეკომენდებულია, დაწესებულებაში გავრცელებული მიდგომა პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების შეფასების გაცნობის და უკუკავშირის მიწოდების შესახებ აისახოს შესაბამის რეგულაციაში.

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნინო ყურშუბაძემ განაცხადა, რომ საზღვაო აკადემიის მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული ექსპერტების ერკომენდაციები და არგუმენტირებული პოზციაზე წარდგენილ იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც დადგინდა ვადები შეუსაბამობების აღმოფხვრისათვის. მაქსიმალური ვადა პირველ სტანდარტთან დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით არის 5 თვე, ხოლო დანარჩენ საკითხებზე გეგმაში მითითებულია 1 თვე. არგუმენტირებული პოზციის წარდგენისას მტკიცებულებების სახით თანდართული იყო დაკორექტირებული მარეგულირებლები. ასევე შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ითვალისწინებს C გარემოს აღჭურვის საკითხებს, რომლის დასრულება დაგეგმილია 2021 წლის აგვისტოს თვეში. აგრეთვე მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულებას უკვე დაკორექტირდა უზუსტობები ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით. გეგმაში მითითებულია 1, 3 და 5 თვის ვადა ზემოაღნისნული უზუსტობების აღმოფხვის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სრული მონიტორინგის პირობით, რის თაობაზეც საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული მე-7 საკითხის განხილვისას, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო

საზღვაო აკადემიისთვის „შედუღების“(მეოთხე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე დამსწრეებს გააცნო დანართით განსაზღვრული პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი. ასევე, აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 11 ივნისიდან.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 8
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:** სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ:245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული ,,შედუღების“ (მეოთხე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ ფოთში **(დანართი 8)**.

**12. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის** (ქ.ფოთი) „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა დიანა გახარიამ, ქალბატონმა ირმა ღარიბაშვილმა და ქალბატონმა ნია გუგუნავამ. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. დაწესებეულება გეგმავს პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელებას და 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც მიზანშეწონილად მიიჩნიეს დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხირდან, ხოლო 8 და 9 აპრილს ონლაინ რეჟიმში შედგა დისტანციური შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ დაწესებულების და დამსაქმებლის წარმომადგენლები. დაწესებულებას ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასების მიხედვით სკუთარი თავი მეორე სტანდარტის ოთხივე კომპონენტში შეფასებული ჰყავდა როგორც ,,სრულად შეესაბამება“. ექსპერტთა შეფასებით შეუსაბამოდ შეფასდა:
1-ლი სტანდარტი: ინდიკატორი 1.2.1-1 სტრატეგიული განვითარების გეგმა - ვადების გამო, რადგან დაწესებულებას დამტკიცებული ჰქონდა ოთხწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა პროფესიულის ნაწილში ნაცვლად შვიდწლიანისა.
მე-2 სტანდარტი: ინდიკატორი 2.2.1-1 მატერიალური რესურსი - პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსის და მათი ფლობის დამდასტურებელი დოკუემნტების წარმოუდგენლობის გამო.

მე-2 სტანდარტი: ინდიკატორები 2.4.2-1,2 ვერიფიკაცია/ვალიდაცია - ვალიდაციისა და ვერიფიკაციის როგორც ტერმინების, ასევე ტერმინების ქვეშ მოაზრებული პროცესების თანაკვეთის გამო.
მე-4 სტანდარტი: ინდიკატორი 4.1.1-3 ინტერესთა კონფლიქტი - ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ინტერესთა კონფლიქტის გამო.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც სრულად ეყრდნობოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ,,შესაბამისობის რეკომენდაციებს“. გეგმის შეფასების შედგეად შეიცვალა ექსპერტთა შეფასება როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“.

ნია გუგუნავამ განაცხადა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდანაც, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალში არ ხორციელდება აკადემიური პროგრამები.

რექტორმა დაადასტურა რომ უკვე მზად არის სამივე ტიპის გარემო და აღიჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით.

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა რეკომენდაციებს და სრულყოფილად ასახა შესაბამისი აქტივობები შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, ასევე უკვე გასწორდა მარეგულირებელი დოკუმენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სრული მონიტორინგის პირობით, რის თაობაზეც საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული მე-7 საკითხის განხილვისას, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე დამსწრეებს გააცნო დანართით განსაზღვრული პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებელების წარმომადგენელი. ასევე, აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 11 ივნისიდან.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 8
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:** სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ:245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ ფოთში **(დანართი 9)**.

**13. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის** (ქ.ფოთი) „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა დიანა გახარიამ, ქალბატონმა ირმა ღარიბაშვილმა და ქალბატონმა ნია გუგუნავამ. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. დაწესებეულება გეგმავს პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელებას და 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც მიზანშეწონილად მიიჩნიეს დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხირდან, ხოლო 8 და 9 აპრილს ონლაინ რეჟიმში შედგა დისტანციური შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ დაწესებულების და დამსაქმებლის წარმომადგენლები. დაწესებულებას ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასების მიხედვით სკუთარი თავი მეორე სტანდარტის ოთხივე კომპონენტში შეფასებული ჰყავდა როგორც ,,სრულად შეესაბამება“. ექსპერტთა შეფასებით შეუსაბამოდ შეფასდა:

1-ლი სტანდარტი: ინდიკატორი 1.2.1-1 სტრატეგიული განვითარების გეგმა - ვადების გამო, რადგან დაწესებულებას დამტკიცებული ჰქონდა ოთხწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა პროფესიულის ნაწილში ნაცვლად შვიდწლიანისა.

მე-2 სტანდარტი: ინდიკატორი 2.2.1-1 მატერიალური რესურსი - პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსის და მათი ფლობის დამდასტურებელი დოკუემნტების წარმოუდგენლობის გამო.

მე-2 სტანდარტი: ინდიკატორები 2.4.2-1,2 ვერიფიკაცია/ვალიდაცია - ვალიდაციისა და ვერიფიკაციის როგორც ტერმინების, ასევე ტერმინების ქვეშ მოაზრებული პროცესების თანაკვეთის გამო.

მე-4 სტანდარტი: ინდიკატორი 4.1.1-3 ინტერესთა კონფლიქტი - ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ინტერესთა კონფლიქტის გამო.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც სრულად ეყრდნობოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ,,შესაბამისობის რეკომენდაციებს“. გეგმის შეფასების შედგეად შეიცვალა ექსპერტთა შეფასება როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“.

ნია გუგუნავამ განაცხადა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების

დარღვევა. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდანაც, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალში არ ხორციელდება აკადემიური პროგრამები.

რექტორმა დაადასტურა რომ უკვე მზად არის სამივე ტიპის გარემო და აღიჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით.

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა რომ დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა რეკომენდაციებს და სრულყოფილად ასახა შესაბამისი აქტივობები შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, ასევე უკევ აგასწორდა მარეგულირებელი დოკუმენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სრული მონიტორინგის პირობით, რის თაობაზეც საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული მე-7 საკითხის განხილვისას, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე დამსწრეებს გააცნო დანართით განსაზღვრული პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი. ასევე, აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 11 ივნისიდან.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 8
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:** სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ:245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ ფოთში **(დანართი 10)**.

**14. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის** (ქ.ფოთი) „საბაჟო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

**22. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „საფინანსო სერვისების“ (ქ.ოზურგეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა ნანა შარაბიძემ და ქალბატონმა ნანა ხითარიშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით ცენტრის დირექტორის №279132 ბრძანების თანახმად ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საფინანსო სერვისების“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით.

დაწესებეულება გეგმავს პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელებას და 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. როგორც დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, ასევე პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებზე დაყრდნობით ექსპერტები ეთანხმებიან მოთხოვნილ კვოტას. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და 2021 წლის 16 აპრილს განახორციელა ონლაინ გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ განათლების მასწავლებლებთან. ასევე, ონლაინ მოხდა დაწესებულების სასწავლო გარემოს და მატერიალური რესურსის დათვალიერება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულება შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი, არ დაუფიქსირებია ხარვეზები და არც რეკომენდაციები გაუცია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 9
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:**ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტს“ (ს/კ:237079497) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ ოზურგეთში **(დანართი 18)**.

**23. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „ბაღის დიზაინის“ (ქ. ოზურგეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა ნანა შარაბიძემ და ქალბატონმა ქეთევან გელაშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით ცენტრის დირექტორის №279136 ბრძანების თანახმად ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ბაღის დიზაინის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით.

დაწესებეულება გეგმავს პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მოდულური მიდგომით განხორციელებას და 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას, მათ შორის ოცდაათივე ადგილი ინტეგრირებული. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და 2021 წლის 16 აპრილს განახორციელა ონლაინ გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ განათლების მასწავლებლებთან. ასევე, ონლაინ მოხდა დაწესებულების სასწავლო გარემოს და მატერიალური რესურსის დათვალიერება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულება შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი, არ დაუფიქსირებია ხარვეზები და არც რეკომენდაციები გაუცია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ - კოლეჯ ,,ჰორიზონტისთვის" „ბაღის დიზაინის" (ქ. ოზურგეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 9
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:**ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტს" (ს/კ:237079497) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ბაღის დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ქ. ოზურგეთში **(დანართი 19)**.

## 24. სსიპ - კოლეჯ „მოდუსში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა თამარ რემიშვილმა და ქალბატონმა ალინა კუპრავამ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით ცენტრის დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის №348150 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების და ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ გაკეთებული განაცხადი პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით ახალ ლოკაციაზე - მარნეულის მუნიციპალიტეტის იაღლუჯის დასახლებაში, სადაც ავტორიზაცია არ აქვს მოპოვებული.
ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ დამატებით გამოგზავნილი დოკუმენტები, მათ შორის სსიპ - კოლეჯი ,,მოდუსის" შესაბამისობის 2 გეგმა. ერთ-ერთი შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის №39 ბრძანებით 15.03.2021, რომლის თანახმადაც მიმდინარე წლის 30 მაისამდე კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულია ცნობა შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.მეორე შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის №108 ბრძანებით 28.04.2021 და გეგმის მიხედვით იდენტიფიცირებულია შემდეგი პრობლემები:

- ·შესყიდვის პროცესის დასრულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მებოსტნეობა
- ·ცენტრალური გათბობა
- ·კამერების დამონტაჟება
- ·პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის კადრის გადამზადება
- ·ინტერნეტ-კომუნიკაციის ჩართვა

განსაზღვრულ აქტივობების შესრულებაზე გეგმაში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირები, შემსრულებლები და ფინანსური რესურსი (ბიუჯეტი), ასევე განსაზღვრულია აქტივობის დაწყების და დასრულების დრო, გასაუმჯობესებელი კომპონენტების შესრულების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 30.08.2021.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია 4.1 და 4.2 კომპონენტებთან, ხოლო მეხუთე სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დეტალურად გააცნო სხდომაზე დამსწრეებს ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:
ა) შესაბამისობის რეკომენდაციები:
5.1.1.4. კოლეჯმა უზრუნველყოს ცენტრალური გათბობის სისტემის გამართვა. (შესაბამისობის გეგმის მიხედვით ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განსაზღვრული თარიღი არის 30.08.21);
5.1.2.1. კოლეჯმა მიმართოს საგანგებო სიტაუციების დეპარტამენტს და მიიღოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. (შესაბამისობის გეგმის მიხედვით ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განსაზღვრული თარიღი არის 30.05.21);
5.1.2.4. კოლეჯმა უზრუნველყოს კამერების დამონტაჟება. (შესაბამისობის გეგმის მიხედვით ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განსაზღვრული თარიღი არის 30.07.21);
5.2.1.1. კოლეჯმა უზრუნველყოს ინტერნეტ-კომუნიკაციის სისტემის გამართვა. (შესაბამისობის გეგმის მიხედვით ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განსაზღვრული თარიღი არის 30.06.21);
ბ) განვითარების რეკომენდაციები:
4.1.1.3. 2021 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით ხარისხის მართვის მენეჯერს დაგეგმილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის პროცესის დანერგვა 2021-2022 სასწავლო წელს, რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერ რეგულაციებში ნათლად გამოჩნდეს ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობა ვერიფიკაციის მიმართულებით;
4.1.1.2. რეკომენდირებულია კოლეჯის 2021 წლის სამოქმედო გეგმაში უმოკლეს ვადაში ასახული იქნას მარნეულის ლოკაციაზე დანიშნული თანამშრომლების პასუხისმგებლობები კონკრეტულ აქტივობებზე, ასევე იმ თანამშრომლების პასუხისმგებლობები, რომლებიც საერთოა ორივე ლოკაციაზე.
4.2.1.5 რეკომენდირებულია კოლეჯის 2021 წლის სამოქმედო გეგმის რესურსების გრაფაში ნათლად გამოჩნდეს კოლეჯის პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი.
5.1.1.1. რეკომენდირებულია, კოლეჯის მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ ფორმაში იქნას ასახული შემდეგი სივრცეების/ფართების ფლობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია /აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები, სივრცე არქივისთვის;
5.1.2.3. დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N105 ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები: უსაფრთხოების ცვლის უფროსი და უსაფრთხოების ცვლის მორიგე, ამავე ბრძანების მესამე პუნქტი მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: უშუალო სამუშაო ადგილებზე სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვროს პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. ამ პოზიციაზე დასაქმებული პირების სამუშაო დრო და ხანგძლივობა არის არასრული განაკვეთი, ასევე მათთვის სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარება არ დგინდება, კოლეჯს ეძლევა შემდგომი

გაუმჯობესების რეკომენდაცია: სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვროს საშტატო ერთეულით/პოზიციით დასაქმებული პირები და უზრუნველყოს მათთვის შესაბამისი სწავლების ჩატარება.
5.2.3.1. რეკომენდირებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ვებგვერდზე პროფესიული სტუდენტებისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას სტუდენტებისთვის - სსიპ კოლეჯი მოდუსი (modusi.ge), განთავსებული იყოს ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასების, სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების შესახებ და პროფესიული სტუდენტებისთვის სასარგებლო სხვა ინფორმაცია.
კოლეჯის დირექტორმა, ბატონმა პავლე თვალიაშვილმა განაცხადა, რომ შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები პრაქტიკულად ყველაფერი უკვე შესრულებული აქვს დაწესებულებას. რაც შეეხება სისტემის გამართვას, რადგან შენობა ახალია საჭიროებდა გარკვეულ პერიოდს. უკვე მოხდა გათბობის სისტემის დაერთება და რამდენიმე დღეში მოხდება ამის დატესტვა. შესაბამისობის გეგმით დაწესებულებას 30 აგვისტო ჰქონდა აღნიშნული აქტივობისთვის დასრულების ვადად განსაზღვრული, თუმცა უკვე შესრულებულია. ძალიან სწრაფი ტემპით მუშაობს დაწესებულება და სწრაფად ხდება იმ რეკომენდაციების გათვალისწინება, რაც ექსპერტების მხრიდან იქნა გაცემული. სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებითაც უკვე აქვს დაწესებულებას რჩევები, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული. ასევე, უკვე დამონტაჟებულია კამერები გარე და შიდა პერიმეტრზე. შემოწმებულია უსაფრთხოების სამსახურის მიერ. ინტერნეტკომუნიკაციასთან დაკავშირებით განაცხადები შეტანილია, მაგთიკომი აწარმოებს სამუშაოებს და ესეც უახლოეს მომავალში იქნება. შეჯამების სახით კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულების მხრიდან მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული ექსპერტთა რეკომენდაციები და საკმაოდ ოპერატიულად და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადებზე წინმსწრებად შესრულდა აქტივობები.
ხარისხის მართვის მენეჯერმა, ქალბატონმა მადონა გოგობერიშვილმა აქცენტი გააკეთა ექსპერტთა მხრიდან გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციებზე და აღნიშნა რომ დაწესებულებამ დასკვნის პროექტის მიღების დღიდან დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა და მათი გათვალისწინების მიზნით შესაბამისი აქტივობების განხორციელება.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ ,,მოდუსში" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. აქვე აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია 5.1 და 5.2 კომპონენტების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ამ კომპონენტებში მონიტორინგის ჩანიშვნის საკითხი განხილულ იქნას პროგრამების დამატების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების ფარგლებში.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 9/8
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:** შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „მოდუსში" (ს/კ:216350829) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

**25. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის" „ელექტროობის" (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა ნაზო წიბლიაშვილმა და ბატონმა დავით გუდაძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით 2021 წლის 12 აპრილის №348134 ბრძანებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, „ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებეულება გეგმავს პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელებას და 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - კოლეჯი „მოდუსის" მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და 2021 წლის 22 აპრილს განახორციელა ონლაინ გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ განათლების მასწავლებლებთან. ასევე, ონლაინ მოხდა დაწესებულების სასწავლო გარემოს და მატერიალური რესურსის დათვალიერება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულება შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი, არ დაუფიქსირებია ხარვეზები, არ გაცემულა შესაბამისობის რეკომენდაციები. ექსპერტთა მხრიდან გაიცა მხოლოდ ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია - ახლად აყვანილი ახალგაზრდა კადრებს ჩაუტარდეთ ტრენინგები პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამის სწავლის შედეგების გამომუშავების, შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამომუშავების მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ ,,მოდუსისთვის" „ელექტროობის" (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ .

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 9/8
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:**სსიპ - კოლეჯ ,,მოდუსს" (ს/კ:216350829) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული ,,ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მარნეულის მუნიციპალიტეტის იაღლუჯის დასახლებაში **(დანართი 20)**.

**26. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის" „მებოსტნეობის" (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ქალბატონმა ნაზო წიბლიაშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის წევრი ბატონი ნიკოლოზ კიკნაველიძე არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით 2021 წლის 12 აპრილის №348133 ბრძანებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, „მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებეულება გეგმავს პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელებას და 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - კოლეჯი „მოდუსის“ მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და 2021 წლის 22 აპრილს განახორციელა ონლაინ გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ განათლების მასწავლებლებთან. ასევე, ონლაინ მოხდა დაწესებულების სასწავლო გარემოს და მატერიალური რესურსის დათვალიერება.

დაწესებულების თვითშეფასებით საკუთარი თავი შეფასებული ჰყავდა 2.2 კომპონენტში მეტწილ შესაბამისობაში. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესბულების შეფასებას და დააფიქსირეს მეტწილი შესაბამისობა. აღნიშნული განაპირობა იმან, რომ ონლაინ ჩართვის პერიოდისთვისაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,მებოსტნეობა“ დაწესებულებას არ ჰქონდა შესყიდული განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფის მხირდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - ახლად აყვანილი ახალგაზრდა კადრებს ჩაუტარდეთ ტრენინგები პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამის სწავლის შედეგების გამომუშავების, შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამომუშავების მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ზეპირ მოსმენაზე ექსპერტთა და დაწესებულების მხიდან დაფიქსირებულ მსჯელობასა და არგუმენტებზე დაყრდნობით, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება რეკომენდაციით მიმართოს ცენტრს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს მონიტორინგი 2021 წლის 15 დეკემბრიდან 2.2 კომპონენტთან, ასევე, დღის წესრიგის 24-ე საკითხით გათვალისწინებული მონიტორინიგის შედეგების შესაბამისად, 5.1 და 5.2 კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის“ „მებოსტნეობის“ (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ .

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 9/8
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:**სსიპ - კოლეჯ ,,მოდუსს" (ს/კ:216350829) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული ,,მებოსტნეობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 21)**.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2. ასევე, 5.1 და 5.2. კომპონენტები. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 15 დეკემბრიდან.

**27. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის" „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა ნაზო წიბლიაშვილმა და ბატონმა გიორგი ნაჭყეპიამ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით 2021 წლის 12 აპრილის №348353 ბრძანებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულება გეგმავს პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელებას და 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - კოლეჯი „მოდუსის" მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და 2021 წლის 22 აპრილს განახორციელა ონლაინ გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ განათლების მასწავლებლებთან. ასევე, ონლაინ მოხდა დაწესებულების სასწავლო გარემოს და მატერიალური რესურსის დათვალიერება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულება შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი, არ დაუფიქსირებია ხარვეზები, არ გაცემულა შესაბამისობის რეკომენდაციები. ექსპერტთა მხრიდან გაიცა მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციები:

1. დაწესებულებას ჰყავს პროფესიული მოდულების ორი განმახორციელებელი, ვინაიდან დაწესებულება გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ორ ცვლაში განხორციელებას რეკომენდებულია აიყვანის მინიმუმ კიდევ ერთი პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირი;

2. ახლად აყვანილი ახალგაზრდა კადრებს ჩაუტარდეთ ტრენინგები პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამის სწავლის შედეგების გამომუშავების, შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამომუშავების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ ,,მოდუსისთვის" ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 9/8
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:**სსიპ - კოლეჯ ,,მოდუსს" (ს/კ:216350829) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მარნეულის მუნიციპალიტეტის იაღლუჯის დასახლებაში **(დანართი 22)**.

**28. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის" „ბუღალტრული აღრიცხვის" (ქ. მარნეული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ქალბატონმა ნაზო წიბლიაშვილმა, ქალბატონი თინა შელია არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით 2021 წლის 12 აპრილის №348137 ბრძანებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, „ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულება გეგმავს პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელებას და 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - კოლეჯი „მოდუსის" მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და 2021 წლის 22 აპრილს განახორციელა ონლაინ გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ განათლების მასწავლებლებთან. ასევე, ონლაინ მოხდა დაწესებულების სასწავლო გარემოს და მატერიალური რესურსის დათვალიერება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულება შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი, არ დაუფიქსირებია ხარვეზები, არ გაცემულა შესაბამისობის რეკომენდაციები. ექსპერტთა მხრიდან გაიცა მხოლოდ ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია - ახლად აყვანილი

ახალგაზრდა კადრებს ჩაუტარდეთ ტრენინგები პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამის სწავლის შედეგების გამომუშავების, შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამომუშავების მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ ,,მოდუსისთვის" „ბუღალტრული აღრიცხვის" (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 9/8
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:**სსიპ - კოლეჯ ,,მოდუსს" (ს/კ:216350829) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული ,,ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მარნეულის მუნიციპალიტეტის იაღლუჯის დასახლებაში **(დანართი 23).**

**29. შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯისთვის „ვეტერინარიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა**

შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯს საჯარო განხილვაზე წარმოადგენდა თამარ აბულაშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი და ილია მატიაშვილი - საინფორმაციო სამსახურის უფროსი. აღნიშნული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა 2021 წლის 4 ივნისის №523347 წერილით.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ქალბატონმა მანანა მოისწრაფიშვილმა და ქალბატონმა ირმა არსენაშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დეტალურად წარადგინა საბჭოს სხდომაზე დამსწრეთა წინაშე დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები და მათი საფუძვლები. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 2 აპრილის №316900 ბრძანებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ,,ვეტერინარიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. 2021 წლის 17 აპრილს ჩატარდა

დისტანციური გასაუბრება-დათვალიერება, პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით. ავტორიზაციის ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, მატერიალური რესურსების კოორდინატორს, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს, დაათვალიერეს დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმართებაში კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ბიბლიოთეკა. ონ-ლაინ ჩართვის ფარგლებში ასევე განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

დაწესებულება გეგმავს განახორციელოს მეხუთე დონის ,,ვეტერინარიის“ პროგრამა მოდულური მიდგომით. დაწესებულების განაცხადით მოთხოვნილია კვოტა 20 პროფესიულ სტუდენტზე. დაწესებულების მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსების, ასვე პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით მე-2 სტანდარტი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან 2.1. და 2.4. კომპონენტი შეფასდა როგორც შეუსაბამო, ვინაიდან 2.1.1.1, 2.1.1.3, 2.1.1.8, 2.4.2.2 და 2.4.2.3 ინდიკატორებში დაფიქსირდა ხარვეზები. მათგან 2.1.1.1 ინდიკატორში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გამოსწორებული იქნა საკუთარი შეცდომა, შეცვლილი იქნა შეფასება და ნაცვლად სრულად შეუსაბამობისა 2.1.1.1. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი, ვინაიდან ექსპერტებს ონ-ლაინ ჩართვის ფარგლებში დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტი - შრომის ბაზრის კვლევა არ ჰქონდათ შესწავლილი და ასახული ინდიკატორის შეფასებისას.

რაც შეეხება დანარჩენი ინდიკატორებში დაფიქსირებულ ხარვეზებს, ისინი დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგადაც დარჩა უცვლელი, ვინაიდან დაწესებულების შეფასებისას ავტორიზაციის ექსპერტებმა იხელმძღვანელეს განაცხადითა და მასზე თანდართული დოკუმენტაციით, ასევე ონ-ლაინ ჩართვის ფარგლებში გადმოგზავნილი დოკუმენტებით და არ გაითვალისწინეს არგუმენტირებული პოზიციის გამოხატვისას მტკიცებულებებად წარმოდგენილი იგივე დასახელების დოკუმენტები, რომლებიც შინაარსობრივად განსხვავდებოდა მანამდე ექსპერტთა მიერ შესწავლილისგან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შეჯამებული სახით წარადგინა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები:
2.1.1.3. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. ექსპერტებმა არ მიიღეს მხედველობაში დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციის დროს იქნა წარმოდგენილი, ვინაიდან იგი შინაარსობრივად იყო განსხვავებული იმ დოკუმენტისგან, რომელიც პირველადად (განაცხადის წარდგენისას) იყო წარმოდგენილი.
2.1.1.8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები დაწესებულების მიერ არ არის ადაპტირებული პროფესიულ საგნმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. სამწუხაროდ დაწესებულებას გააზრებული არ აქვს ჩარჩო დოკუმენტსა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შორის განსხვავება. დაწესებულებას კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ჩარჩო დოკუმენტი. ყველა იმ ბრძანებაში, რომელიც შეეხება პროფესიული პროგრამის ადაპტირების საკითხებს, უთითებს რომ ამტკიცებს ჩარჩო დოკუმენტს. თუმცა ამავე დროს დაწესებულებას შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში შესანიშნავად აქვს გაწერილი პროგრამის შემუშავების პროცედურები, მაგრამ არ მიჰყვება თავისივე დადგენილ წესს.
2.4.2.2. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი. დაწესებულებას

წარმოდგენილი აქვს გარკვეული დოკუმენტი, რომელსაც სათაურად აწერია ვერიფიკაციის მეთოდოლოგია, რომელიც, სამწუხაროდ, ვერიფიკაციის ძირითად არსს და პრინციპს სცდება. შესაბამისად დაწესებულება ვალდებულია, გაიზაროს კარგად ვერიფიკაციის არსი, ვერიფიკაციის პროცესისთვის საჭირო წესები და პრინციპები, ვერიფიკაციის მიმართულებები, რისკების სისტემა, ვერიფიკაციის შემდგომი მექანიზმები.
2.4.2.3. დაწესებულებას არ აქვს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვალდებულება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. აღნიშნული საკითხი, ისევე როგორც სხვა პრობლემური საკითხები, განხილული იყო დაწესებულებასთან ონლაინ ჩართვის დროსაც. დაწესებუელბის წარმომადგენლები ჩართვის დროს ამტკიცებდნენ რომ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის სამწლიანი ვადა მითითებული იყო მათ მარეგულირებელ დოკუმენტში. ექსპერტები, რა თქმა უნდა, გაეცნენ მითითებულ რეგულაციას, თუმცა აღნიშნულ ჩანაწერს არ მოიცავდა რეგულაცია. შემდეგ, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც ასახული ჰქონდა ჩანაწერი ვადასთან დაკავშირებით. დოკუმენტში რომ ექსპერტებთან ჩართვის და დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ შევიდა ნაჩქარევად ცვლილება ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ რეგულაციაში მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის ვადასთან დაკავშირებული პუნქტები მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა თუ გაესაუბრნენ ექსპერტები იმ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, სადაც გადის პროგრამის კლინიკური სწავლების მოდულები. ასევე დასვა კითხვა რამდენად ჰქონდა დაწესებულებას გაწერილი რაიმე რეგულაციაში საკვალიფიკაციო გამოცდის წესები, რომელიც ჩარჩო დოკუმეტნით განსაზღვრულია რომ უნდა ჩატარდეს ვეტერინარიის პროგრამის ფარგლებში.

ქალბატონმა ირმა არსენაშვილმა დაადასტურა, რომ ონლაინ ჩართვისას ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს და აღნიშნა რომ დაწესებულებას ძალიან კარგი პარტნიორები ჰყავს შერჩეული. ქალბატონმა მანანა მოისწრაფიშვილმა კი დაადასტურა რომ დაწესებულებას მთავარ დებულებაში ჰქონდა აღწერილი რეგულაცია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებით, არა დეტალური, თუმცა ზოგადი ჩანაწერები არის ასახული დაწესებულების მთავარ დებულებაში.

კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის თამარ აბულაშვილის განცხადებით მთავარი დებულების 24-ე მუხლში საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ ჩანაწერები. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება რიგ საკითხებში არ ეთანხმება ექსპერტებს, თუმცა ბევრ საკითხში ეთანხმება ექსპერტების პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე თუ რატომ არ წარმოადგინა დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თამარ აბულაშვილმა განაცხადა რომ მისთვის არავის უთქვამს რომ უნდა წარმოედგინა მსგავსი დოკუმენტი. მისი თვალსაზრისით ძირითადი საკითხი არის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც რეალურად ახლა მუშავდება კოლეჯებში და მათ დაწესებულებაშიც მაღალ დონეზე არ დგას. რაც შეეხება ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, ეს დოკუმენტი დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2018 წელს. კონკრეტული პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტი კი მისი განცხადებით ექსპერტებს მათივე მოთხოვნის საფუძველზე მიეწოდათ.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე უპასუხა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემაც და აღნიშნა, რომ დაწესებულება არ იზიარებდა ექსპერტების მიერ დაფიქსირებულ ხარვეზებს, ამდენად არ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაც.

თამარ აბულაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულება ვერიფიკაციის ნაწილში ეთანხმება ექსპერტებს, დანარჩენ ხარვეზებთან დაკავშირებით კი არ ეთანხმება მათ პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარემ დაზუსტების მიზნით შეაჯამა, რომ დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში არ ეთანხმება ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ ხარვეზებს, თუმცა საბჭოს სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენელი აფიქსირებს განსხვავებულ პოზიციას. ქალბატონი ნანა ყუფუნიას თქმით ეს მიანიშნებს იმაზე, რომ დაწესებულება არ ფლობს ინფორმაციას წესებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციას, შესაბამისად არ იკვეთება კოლეჯის მზაობა ,,ვეტერინარიის" პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით.

ქალბატონი თამარ აბულაშვილის მოსაზრებით ერთი ან ორი პატარა დოკუმენტი ნამდვილად ვერ მოახდენას გავლენას პროფესიული სტუდენტების მომზადებაზე, რადგან კოლეჯს აქვს აბსოლიტური მზაობა. დაწესბულებას ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსი და გააჩნია უნაკლო მატერიალური რესურსი, ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული 4 ორგანიზაციასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯისთვის „ვეტერინარიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 0
**მოწინააღმდეგე:** 9

**გადაწყვეტილება:** უარი ეთქვას შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ:238134425) განახორციელოს „ვეტერინარიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

რამდენადაც, საბჭოს მდივანი არ ეწრებოდა სხდომას, საბჭოს თავმჯდომარემ, მდივნის მოვალეობის შესრულება, მისივე თანხმობით, დააკისრა ქრისტინა რზგოევას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, 19:10 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა